



საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო
სსიპ - „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი“

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 90

„24“ დეკემბერი 2013წ.

დ. თბილისი

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის“ საკონკურსო-საატესტაციო კომისიის, აღნიშნული კომისიის სამდივნოს და საპრეტენზიო კომისიის შექმნის შესახებ 2013 წლის 18 ნოემბრის №72 ბრძანებაში ცვლილების თაობაზე

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11¹ მუხლის, 36²-ე მუხლის პირველი და 2-ე ნაწილების, 36³-ე მუხლის, საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 05 თებერვლის №46 ბრძანებულებით დამტკიცებული „საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესის“ მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის და მე-8 მუხლის პირველი პუნქტის, “ნუგზარ კველიშვილის სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის“ საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ“ სსიპ „საჯარო სამსახურის ბიუროს“ უფროსის ეკატერინე ქარდავას 2013 წლის 20 დეკემბრის №241/სა ბრძანების, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის“ საშტატო განრიგისა და სახელფასო ფონდის, თანამშრომელთა მატერიალური წახალისებისათვის გამოსაყოფი სახსრების, აგრეთვე შესაძენი საწვავისა და გასაწევი საკომუნიკაციო ხარჯების ლიმიტების დამტკიცების თაობაზე სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის“ 2013 წლის 18 ნოემბრის №71 ბრძანებისა და საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს 2012 წლის 25 აპრილის N52 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-3 მუხლის 2-ე პუნქტის თ) ქვეპუნქტის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. შევიდეს ცვლილება საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სსიპ-ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის“ საკონკურსო-საატესტაციო კომისიის, აღნიშნული კომისიის სამდივნოს და საპრეტენზიო კომისიის შექმნის შესახებ

სსიპ-ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის“ 2013 წლის 18 ნოემბრის N72 ბრძანებაში და ა.ა) პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

- ა.ა) ნუგზარ კველიშვილი - სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის“ უფროსის მოვალეობის შემსრულებელი/ საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე;
2. ბრძანების სხვა მუხლები დარჩეს უცვლელი;
 3. წინამდებარე ბრძანება, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში (მის: ქ. თბილისი, ჩოლოყაშვილის გამზ. N9);
 4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

ცენტრის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი



ნუგზარ კველიშვილი